ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5352890

ნომერი: AR1815431

თარიღი : 02.04.2021

გაცემის თარიღი : 02.04.2021

გაცნობის თარიღი : 03.04.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ტერენტი გრანელი , N 2-4 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გიორგი ჩიტაია , N 1-3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი შაყულაშვილი პ/ნ 01008032108
- თბილისი დ. ბაგები ი.უჩანეიშვილის I გას. N 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2021 წლის 02 აპრილის AR1681594 განცხადება, რომელიც ეხება ქ.

თბილისში, ტერენტი გრანელის ქ. N2-4; ჩიტაიას ქ. N1-3-ში არსებული შენობაზე სარეკლამო აბრების შეცვლის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანების თანახმად, ქ. თბილისში, ტერენტი გრანელის ქ. N4-ში არსებულ შენობა- ნაგებობას მინიჭებული აქვს კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი; ქ. თბილისში, ტერენტი გრანელის ქ. N2/4; ჩიტაიას ქ. N1/3-ში (ს/კ 01.16.06.014.002) არსებული შენობები მდებარეობს ძეგლის ტერიტორიაზე და შესაბამისად მასზე ვრხელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონით დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი.

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები განეკუთვნება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენს მიერ რასწორად მოხდა განაცხადის დარეგისტრირება. განაცხადი უნდა დარეგისტრირდეს შესაბამის ნომენკლატურაში: ელექტრონული განაცხადები>მშენებლობის ნებართვა>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი>მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნომენკლატურით სამსახური მოკლებულია საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას. სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამის ნომენკლატურაში ატვირთვის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.